შპს "ლიდოილი"

ს/კ 424253168

ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 3-4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 7- 13

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები			
საქმიანობის შედეგები	**31/12/2023**	**31/12/2022**	**31/12/2021**
ნეტო ამონაგები	3106380	3697799	4210797
საქონლის გაყიდვიდან	3106380	3697799	4210797
მომსახურების გაწევიდან	0	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0	0
სხვა	0	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2929765	-3357981	-3853915
საწყისი მარაგები	0	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0	0
საბოლოო მარაგები	0	0	0
საერთო მოგება	176615	339818	356882
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-150920	-134524	-109763
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-10200	-10311	-12183
საპროცენტო შემოსავალი	0	0	0
საპროცენტო ხარჯი	-32770	-45035	-69206
იჯარის ხარჯი	-71408	-68747	-61649
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-103014	-107047	-115541
სულ საოპერაციო ხარჯები	-368312	-365664	-368342
საოპერაციო მოგება	-191697	-25846	-11460
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-191697	-25846	-11460
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-191697	-25846	-11460
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-191697	-25846	-11460
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-28270	-2424	39036
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0	-30000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-219967	-28270	-2424

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2023**	**31/12/2022**	**31/12/2021**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	61236	204437	55311
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	68163	119948	211347
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	19082	19140	18044
მარაგები	172639	128020	175705
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	172639	128020	175705
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	9	0	67
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1102	1102	1102
ძირითადი საშუალებები	213129	183295	193906
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	535360	655942	655482
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	5950
სავაჭრო ვალდებულებები	266668	131604	101956
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	9144	22766	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	403	399	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	298246	447292	550000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	180866	82151	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	755327	684212	657906
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0

საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-219967	-28270	-2424
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-219967	-28270	-2424
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	535360	655942	655482
სულ მოკლევადიანი აქტივები	322222	472647	460474
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	574461	602061	657906

ფულადი სახსრების მოძრაობა			
ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2023**	**31/12/2022**	**31/12/2021**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-52836	170230	26038
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-40034	-547	-120013
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-50331	-20557	89111
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-143201	149126	-4864
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	204437	55311	60175
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	61236	204437	55311

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო
ბიზნეს გარემო
კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე მოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფსებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.
ორგანიზაცია და ბიზნეს გარემო
შპს "ლიდოილი" (ს/ნ 424253168) (შემდგომში "კომპანია") წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რეგისტრირებულია 2017 წლის 13 ნოემბერს.
კომპანიის ყავს ორი მესაკუთრე: პავლე ბათმანაშვილი (პ/ნ 03001000172) 50%-იანი წილით და გელა თალაკვაძე (33001002002) ასევე 50%-იანი წილით. კომპანიის დირექტორია პავლე ბათმანაშვილი.
კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო ახალციხის რაიონი, ქალაქი ვალე, სტალინის ქუჩა, ავტოგასამართი სადგური.
კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ნავთობპროდუქტებით, ბენზინითა და დიზელით, ამასთან დამატებით საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში ძირითადად საკვები პროდუქტით, სასმელებით ან თამბაქოთი.
აღნიშნულ საქმიანობებს კომპანია ახორციელებს იჯარით მიღებულ ექვს ავტოგასამართ სადგურზე: 1. ქ. ვალე სტალინის ქუჩა (აგს), 2. ქ. ვალე კათოლიკური სასაფლაოს მიმდებარედ. 3. ასპინძა სოფელი ნიჯგორი. 4. ახალქალაქი ახალციხე-ბაკურიანის გზაჯვარედინი. 5. ახალქალაქი სოფელი ვაჩიანი. 6. დაბა ადიგენი ა. ბალახაშვილის #15.
კომპანიის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი კაპიტალი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში – ლარში.
წარსადგენი ვალუტა
საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი (₾), რომელიც წარმაოდგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და რომელშიც მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში.
შეფასება და მსჯელობა
მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მსჯელობას, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. ხელმძღვანელობის აზრით არ არსებობს დაშვებებთან და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც წარმოშობს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება
ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს და მისი

შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა ფინანსური შემოსავალი და ხარჯები.

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს: საპროცენტო ხარჯებს; უცხოურ ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეულ მოგება ან ზარალს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სკს) მიხედვით საწარმოს მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან/და არარეზიდენტები საქართველოში. მოგების გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან. დივიდენდის გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახდი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდ გამოცხადდა, მიუხედავად იმისა თუ რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდის გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად: ეკ. საქმიანობასთან დაუკავშირებული ხარჯები, საქონლის ან/და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება, არასაბაზრო გარიგებით აღრიცხული გარიგებები და სხვა) ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება როგორც სხვა გადასახდები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯების მოსალოდნელი ღირებულება.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია. მოკლე და გრძელვადიანი.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია:

- თუ აქტივის ფლობის მიზანია ვაჭრობა;
- თუ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა;

• თუ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
• თუ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.
ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია:
• თუ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
• თუ ფლობის მიზანია ვაჭრობა;
• თუ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
• თუ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.
ყველა დანარჩენ ვალდებულება გრძელვადიანია.

ძირითადი საშუალებები
ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება თვითღირებულების თანხა შემცირებული დაგროვილი ცვეთით.
თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომითი და სხვა ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებას, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილად.
როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, მათი აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის ძირითადი კომპონენტები.
ძირითადი საშუალების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და აისახება მოგება ან ზარალში სხა შემოსავლების ან სხვა ხარჯების ნაწილში.

ცვეთა
ძირითადი საშუალებების ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის მიერ შექმნილ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მათი გამოყენებისთვის მზადყოფნიდან.
ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ყოველწლიურად რისთვისაც გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთი (პროცენტი):

ძირითადი საშუალების დასახელება	გამოყენების ვადა
მანქანა-დანადგარები	15%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
იჯარით აღებული ქონების რემონტი	20%

იმ შემთხვევაში თუ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივი შეფასდება რეალური ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტები
კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას შემდეგ კატეგორიებში: სესხები და მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, ხოლო ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება ხდება სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. სესხებისა და მოთხოვნების აღიარება დება მათი თავდაპირველი წარმოშობის თარიღში, ხოლო ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ვალდებულება აღიარდება ვაჭრობის იმ თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.
კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულებით სხვას გადაეცემა თავის რისკა და სარგებელთან ერთად.
კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც დაიფარება ვადა გუავა ან გაუქმდება სახელშეკრულებო ვალდებულება.
კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულების კატეგორიაში. Mსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციული დანახარჯები. თავდაპირველი აღირების შემდგომ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზირებადი ღირებულებებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი
საწედებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი.

სესხები და მათი მოთხოვნები
სესხები და მათი მოთხოვნები განეკუთვნება ფინანსური აქტივების კატეგორიას. Mსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც რეალურ ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირდ დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხები და მოთხოვნები იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით.
აღებული სესხები აღირდება მოკლევადიანად ვალდებულებად თუ მის დასაფარად ანგარიშგების თარიღიდან დარჩენილია არაუმეტეს 12 თვე.

იჯარა
იჯარის განსაზღვრა ხდება იჯარის დაწყების მომენტში მისი არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის გამოყენების უფლებას მაშინაც კი თუ ეს აქტივი მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია როგორც მოიჯარე
აქტივის კლასიფიცირებას ახდენს იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.
იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებიდათ ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.
ხოლო საოპერაციო იჯარას წარმოადგენს ისეთი იჯარა რომელიც არ შეიძლება ჩაითვლოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო

ხარჯად სრული შემსოავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მეიჯარე
აქტივის კლასიფიცირებას ახდენს იჯარის საწყისი თარიღით, თუ კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება, საიჯარო ქირის აღირება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში როდესაც მოხდა მისი მიღება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღირება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიაციო ფასს შორის იმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისაგან.

სავაჭრი და სხვა მოთხოვნები
რეალიზაცია ხორციელდება საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
სავაჭრო ვალდებულებები
სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

3. ამონაგები
მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან და გაწეული მომსახურებიდან ამონაგებს, უკან დაბრუნებული რეალიზაციების გამოკლებით.

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

სასაქონლო–მატერიალური მარაგის კორექტირება	2252
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	56762
სოციალური დანარიცხები	2596
კომუნიკაციის ხარჯები	4398
კომუნალური ხარჯები	18070
დაზღვევა	6107
რემონტი	295
საკონსულტაციო ხარჯები	7828
საბანკო მომსახურება	2062
სხვა საერთო ხარჯი	2644

5. სავაჭრო მოთხოვნები

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	68163	119948	211347
სულ:	68163	119948	211347

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების სახით კომპანია ფლობს სააღრიცხვო პროგრამებს.

7. ძირითადი საშუალებები

მიწის ნაკვეთები	153000
შენობები	15338
მანქანა–დანადგარები	30094
ოფისის აღჭურვილობა	6208
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2769
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2044
1000 ლარამდე ღირებულების	3676
სულ:	213129

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები
   დიზელი ავტოგასამართ სადგურებზე
   ბენზინი ავტოგასამართ სადგურებზე
   სხვა მარაგები

9. სავაჭრო ვალდებულებები

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	266668	131604	101956

10. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები
კომპანიას სესხი აღებული აქვს ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტისგან საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. სესხთან დაკავშირებული რისკები უმნიშვნელოა რადგან კომპანია

ყოველთვის უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს საოპერაციო საქმიანობის ეფექტურად წარსამართად, რაც სასესხო ვალდებულებას არ აყენებს რისკის ქვეშ.

სს თიბისი ბანკი	
მოკლევადიანი სესხი	298246
გრძელვადიანი სესხი	180866
სულ:	479112

11. არამატერიალური აქტივები
არამატერიალური აქტივების სახით კომპანია ფლობს სააღრიცხვო პროგრამებს.

12. საკუთარი კაპიტალი
საწესდებო კაპიტალი – საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.
დივიდენდები – კომპანიის მფლობელი უფლებამოსილია დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით.

13. კაპიტალის მართვა
კომპანიას კაპიტალის მართვის პოლიტიკა არ აქვს, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი, როგორც კომპანიის სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, ასევე ბაზრის მონაწილეთა შორის ნდობის შესანარჩნულებლად.

14. ანგარიშგების თარიღის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს არ ჰქონია ადგილი.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 20 სექტემბერს.

შპს "ლიდოილი"-ს
ბუღალტერი: არჩილ მანია